ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

და

ფრაქციის ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა''

წევრების:

თორნიკე ბიკაშვილის, ანა გოგოლაძის, მამუკა გუგეშაშვილის, შოთა გრიგოლიას, ირაკლი ეძგვერაძის, ნინო კვიტაიშვილის, ზვიად კუპრავა, ლილე ლიპარტელიანის, ირაკლი ნადირაძის, გიორგი ონიანი, ბარბარა ჯიმელი სულაშვილის, სოფიო ჯაფარიძის

გაწეული მუშაობის შესახებ ამომრჩევლებისთვის ანგარიშის წარდგენისა

და

ამომრჩევლებთან საჯარო შეხვედრის

ოქმი

ქ. თბილისი 28 ოქტომბერი 2023 წ.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში საკრებულოს წევრებმა ფრაქციიდან '' ერთიანი ნაციონალური მოძრაობა'' საქართველოს ორგანული კანონის '' ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი'' მუხლი 88 შესაბამისად გამართეს ამომრჩევლებთან საჯარო შეხვედრა და ჩააბარეს ანგარიში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში გაწეული საქმიანობის შესახებ.

საკრებულოს /ფრაქციის წევრების: **თორნიკე ბიკაშვილის, ანა გოგოლაძის, მამუკა გუგეშაშვილის, შოთა გრიგოლიას, ირაკლი ეძგვერაძის, ნინო კვიტაიშვილის, ზვიად კუპრავა, ლილე ლიპარტელიანის, ირაკლი ნადირაძის, გიორგი ონიანი, ბარბარა ჯიმელი სულაშვილის, სოფიო ჯაფარიძის** მიერ განხორციელდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში, საკრებულოს კომისიებსა და ფრაქციაში გაწეული სამუშაოს შესახებ ანგარიშის მიწოდება, მათი, როგორც საკრებულოს წევრების აქტივობის შესახებ.

საჯარო შეხვედრის მონაწილე ამომრჩევლების მხრიდან შეკითხვებს უპასუხეს ადრესატმა საკრებულოს წევრებმა.

საჯარო შეხვედრაზე წარდგენილი ანგარიშის კონსოლიდირებული ვერსია თან დაერთვის წინამდებარე ოქმს.

საჯარო შეხვედრის წარმართვაზე პასუხისმგებელი პირი

ირაკლი ნადირაძე

დანართი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

და

ფრაქციის ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"

წევრების:

თორნიკე ბიკაშვილის,

ანა გოგოლაძის,

მამუკა გუგეშაშვილის,

შოთა გრიგოლიას,

ირაკლი ეძგვერაძის,

ნინო კვიტაიშვილის,

ზვიად კუპრავა,

ლილე ლიპარტელიანის,

ირაკლი ნადირაძის,

გიორგი ონიანი,

ბარბარა ჯიმელი სულაშვილის,

სოფიო ჯაფარიძის

კონსოლიდირებული

ანგარიში

გაწეული მუშაობის შესახებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს **თორნიკე ბიკაშვილი, ანა გოგოლაძე, მამუკა გუგეშაშვილი, შოთა გრიგოლია, ირაკლი ეძგვერაძე , ნინო კვიტაიშვილი, ზვიად კუპრავა, ლილე ლიპარტელიანი, ირაკლი ნადირაძე, გიორგი ონიანი, ბარბარა ჯიმელი სულაშვილი, სოფიო ჯაფარიძე** გაერთიანებულნი არიან ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ფრაქციაში ''ერთიანი ნაციონალური მოძრაობა''.

ფრაქციის წევრები პროპორციული წარმომადგენლობის ქვოტით ასევე წარმოდგენილნი არიან ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შემდეგ კომისიებში:

1. სარევიზიო კომისია: **ზვიად კუპრავა, გიორგი ონიანი;**
2. ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისია: **სოფიო ჯაფარიძე, მამუკა გუგეშაშვილი**
3. განათლებისა და კულტურის კომისია: **ნინო კვიტაიშვილი, სოფიო ჯაფარიძე;**
4. იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისია: **თორნიკე ბიკაშვილი, გიორგი ონიანი;**
5. ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისია: **ლილე ლიპარტელიანი, ანა გოგოლაძე, მამუკა გუგეშაშვილი,**
6. სატრანსპორტო საკითხთა კომისია: **ანა გოგოლაძე, ბარბარა ჯიმელი სულაშვილი. ზვიად კუპრავა;**
7. გარემოს დაცვის კომისია: **ბარბარა ჯიმელი სულაშვილი, შოთა გრიგოლია, ირაკლი ეძგვერაძე;**
8. სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია: **ირაკლი ნადირაძე, შოთა გრიგოლია;**
9. სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისია: **ნინო კვიტაიშვილი, ირაკლი ეძგვერაძე.**
10. ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისია: **თორნიკე ბიკაშვილი, ანა გოგოლაძე, ირაკლი ნადირაძე;**

ლილე ლიპარტელიანი მიმდინარე წლის ნოემბრიდან, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიაში გააგრძელებს მუშაობას,

ფრაქციის თანამდებობის პირები არიან:

ირაკლი ნადირაძე - ფრაქციის თავმჯდომარე;

სოფიო ჯაფარიძე - ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე;

თორნიკე ბიკაშვილი- ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე;

ანა გოგოლაძე - ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე;

გიორგი ონიანი- ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე

მოსახლეობისთვის ინფორმაციის მისაწოდებლად, ფრაქციის წევრების მიერ აქტიურად გამოიყენება საინფორმაციო ბრიფინგები, როგორც ინდივიდუალურად, ისე ფრაქციულად. ფრაქციის წევრები შესაძლებლობის ფარგლებს მაქსიმალურად იყენებენ, რომ თბილისის მუნიციპალიტეტში არსებული დარღვევები მაქსიმალურად იქნეს გასაჯაროებული.

2022 წლის 23 ოქტომბერს, გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის წარდგენის შემდეგ ფრაქციის მიერ ჩატარებული ბრიფინგები შეეხო შემდეგ თემებს:

25 ოქტომბერი, სოფო ჯაფარიძე - თბილისის საკრებულოში ოპოზიცია რიგგარეშე სხდომაზე კახა კალაძეს იბარებს.

27 ოქტომბერი გოგა ონიანი, ზვიად კუპრავა - დეპუტატები მოითხოვენ რუსეთ-უკრაინის ომში დაღუპული ქართველი მეომრების სახელობის სკვერისა და მემორიალიშ გაკეთებას;

28 ოქტომბერი ზვიად კუპრავა სს საქმესთან დაკავშირებით

1 ნოემბერი, ირაკლი ნადირაძე - ბიუჯეტის არამართლზომიერი გამოყენება.

29 დეკემბერი, ირაკლი ეძგვერაძე- საკრებულოს სხდომაზე ოპოზიციის საწინააღმდეგო გარემოს შექმნაზე;

2023 წ

7 აპრილი, გოგა ონიანი - ოპოზიცია უკრაინაში დაღუპული ქართველი გმირებისთვის მემორიალის გახსნას მოითხოვს;

20 აპრილი, გოგა ონიანი - წერეთლის გამზირის რეაბილიტაცია;

30 მაისი, ანა გოგოლაძე - მერიის მაღალჩინოსნების და კონკრეტული მოქალაქეს შორის კორუფციულ გარიგებაზე. ოპოზიცია გამოძიებას მოითხოვს.

15 ივნისი გოგა ონიანი- ვაკის პარკის ტრაგედია. ფრაქცია "ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" მოვითხოვთ კალაძის მოსვლას საკრებულოში.

10 ივლისი ანა გოგოლაძე - სპორტის უნივერსიტეტის ნაცვლად, პრემიერ ღარიბაშვილის ნათელმირონების ცათამბჯენები და კანონის გვერდის ავლით მუნიციპალურ პარკინგზე

გამოცხადებული აუქციონი. ფრაქცია მოვითხოვთ თბილისის საქალაქო სასამართლოს აუქციონის შეჩერებას.

24 აგვისტო ანა გოგოლაძე, ირაკლი ნადირაძე, ლილე ლიპარტელიანი - "ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ" თბილისის საკრებულოში, კრიტიკული კითხვებზე პასუხის გასაცემად, კახა კალაძეს სთხოვა სხდომის დროს მოსვლა და სხდომაზე გამოტანილ საკითხებზე მის მიერ პასუხის გაცემა.

23 სექტემბერი ოპოზიციის ერთობლივი ბრიფინგი ირაკლი ეძგვერაძის თავდასხმასთან დაკავშირებით.

20 ოქტომბერი ფრაქციის ერთიანი ბრიფინგი, ჩვენი ფრაქციის წევრის, ირაკლი ეძგვერაძეზე თავდასხმის საქმის სათანაოდ გამოუძიებლობის გამო.

უფლებამოსილების განხორციელებისთვის საჭირო ინფორმაციის მიღება საკრებულოში, საკრებულოს წევრების მუშაობის აუცილებელი ელემენტია, მოთხოვნილი ინფორმაციის დაგვიანებით მიღება, ნაწილობრივ მიღება ან პასუხის გაუცემლობა, რომლის პრაქტიკა მმართველი პარტიის პირობებში, სამწუხაროდ გვაქვს, ხელს გვიშლის მუშაობაში.

საკრებულოს წინაშე ანგარიშვალდებული პირებისგან ინფორმაციის მიღება საკრებულოს წევრის და მითუმეტეს ოპოზიციური ელექტორატის წარმომადგენლებისთვის, უფლებამოსილების განხორციელების დამატებითი საშუალებაა, თუმცა მერიის თანამდებობის პირები არ ასრულებენ ამ ვალდებულობას, მაგალითად:

2023 წლის 25 აპრილის ფრაქციის სხდომაზე, წერეთლის გამზირის რეაბილიტაციასთან დაკავშირებით მოწვეულნი იყვნენ მერის მოადგილეები, ირაკლი ხმალაძე და ირაკლი ბენდელიანი, 20 ივნისის ფრაქციის სხდომაზე ვაკის პარკის ტრაგედიის, გამომწვევი მიზეზების კვლევასა და მსგავსი შემთხვევის პრევენციასთან დაკავშირებით მოწვეულნი იყვნენ მერის მოადგილეები, ირაკლი ხმალაძე და ირაკლი ბენდელიანი,

არც ერთ ზემოაღნიშნულ შემთხვევაში, მერიის თანამდებობის პირების ანგარიში წარდგენის ვალდებულება არ შეუსრულებიათ

საკრებულოს სხდომები საერთოდ არ ტარდება მორიგი სხდომების რეჟიმში, ყველა სხდომის მოწვევა და ჩატარება, კანონსაწინააღმდეგოდ, ხდება ისეთი შემჭიდროებულ ვადებში, ხელი გვეშლება რომ მაქსიმალურად შევძლოთ შემოსული მასალების შესწავლა.

22 სექტემბერს, საკრებულოს სხდომაზე, ჩვენი ფრაქციის წევრის, ირაკლი ეძგვერაძის სიტყვით გამოსვლის დროს, მმართველი პარტიის წარმომადგენლების მხრიდან ვერბალური და ფიზიკური დაპირისპირება და შემდეგ, ირაკლი ეძგვერაძის საცხოვრებელ სახლთან რამდენიმე ათეული ადამიანის, ორგანიზებელი, კრიმინალური თავდასხმა, იმ მდგომარეობას ადასტურებს, რა პირობებში უწევს ოპოზიციას მუშაობა. აღნიშნული საქმის არასათანადო გამოძიება იმის მიზეზი გახდა, რომ ჩვენ ფრაქციას, საკრებულოს 20 ოქტომბრის სხდომისთის ბოიკოტი გამოეცხადებინა.

ფრაქცია ასევე მუშაობს გლდანის დიდი ტბის პრობლემების მოგვარების გზებზე, რა მიზნითაც დიდი ყურადღება ეთმობა საქმის გარემოებების მოკვლევას.

ფრაქციის წევრების მონაწილეობით ვახორციელებთ თბილისის საკრებულის რიგი გადაწყვეტილებების გასაჩივრებას სასამართლოში, იმ საქმეებზე, რომლებიც თბილისის ურბანული განვითარებისთვის დიდ პრობლემებს ჰქმნიან.

მდინარე ხევძმარას ხეობის ნაწილის გასხვისების ნაწილში საკრებულოს ერთი სადაო გადაწყვეტილება შეჩერდა, თუმცა მსგავსი შედეგი არ გვაქვს განუსხვისებელი ქონების რეალიზაციის საქმეში, სრულად ვაცნობიერებთ, კლანური სასამართლოს პირობებში სასამართლო დავას რა სირთულე შეიძლება ჰქონდეს, თუმცა ამ მიმართულებით მუნიციპალიტეტის ინტერესების დაცვის მცდელობა ასევე აუცილებლად მიგვაჩნია.